

## ორი ნახევარტინალი

“შახტიორი” (დონეცკი) – “დინამო” (თბილისი) 0:2 (0:1).

დონეცკი. “ლოკომოტივის” სტადიონი. 30 აგვისტო.

“შახტიორი”: დეგტიარევი, იარემჩენკო, გორბუნოვი, კონდრატოვი, პიანისი, შველიუკი (ლუშჩენკო), ვასინი, სოკოლოვსკი, რეზნიკი, დუდინსკი (როგოვსკი), საფონოვი.

“დინამო”: გოგია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩვაშვილი, ებრალიძე, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ჩელებაძე (ნერეთელი), გუცაევი, ყიფიანი (ქორიძე), კოპალეიშვილი.

მსაჯი: ვ. რუდნევი (მოსკოვი).

სხვათა შორის, ვიდრე დონეცკის ნახევარტინალურ მატჩის აღწერას შევუდგებოდეთ, გვინდა მკითხველს ერთი პატარა საინტერესო ამბავი მივანოლოთ. ამ რამდენიმე დღის წინათ რედაქციაში საქმეზე შემოიარა საკავშირო კატეგორიის მსაჯმა ი. ბოჭორაძემ. სწორედ მაშინ, როცა ერთ-ერთმა სხვა სტუმარმა დაბეჭთებით გამოთქვა თავისი სპეკტიკური მოსაზრება – თბილისის “დინამო” დონეცკში უეჭველად წააგებსო, ი. ბოჭორაძემ კიდევ უფრო დარწმუნებით თქვა: რაზეც გინდათ დავნაძლევედეთ, “დინამო” მოიგებს!

ვეტერანი არბიტრი, როგორც ხედავთ, სწორი გამოდგა. მართლაც, ძნელი სანინასწარმეტყველო იყო “შახტიორთან” გამარჯვება, ვინაიდან ტრადიციულად ცნობილი ამბავია: დონეცკში თამაში ძნელი საქმეა ყველასთვის, თბილისის “დინამოს” კი ამ ქალაქში დიდზე დიდი ხანია არ მოუგია თამაში.

მაგრამ სინამდვილემ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. დინამოელებმა თასის გათამაშების ეს ურთულესი მატჩი დონეცკში ბრწყინვალედ ჩაატარეს და გვიჩვენეს ის ფეხბურთი, რომელიც შეფერება საკავშირო ჩემპიონატის ბრინჯაოს პრიზიორს, ნამდვილი მაღალი კლასის მებრძოლ გუნდს.

პირველი, რამაც ყველაზე სასიამოვნო შთაბეჭდილება დატოვა ჩვენზე, ესაა თბილისელ ფეხბურთელთა სოლიდური, საკუთარ ძალებში დაჯერებული, გეგმიანი, აუღელვებელი თამაში. როცა საჭირო იყო, გუნდი უტევდა სწრაფად, ტემპიანად, დიდი ძალებით, როცა სიტუაცია იცვლებოდა, შუა მინდორში იმართებოდა პოზიციური ბრძოლა ბურთის ხანგრძლივი გათამაშებით, რომელიც წმინდა ტაქტიკურ ამოცანას ემსახურებოდა – არ მიეცა მეტოქისთვის უპირატესობის მოპოვების, თამაშის გაშლის, ხანგრძლივი იერიშის განვითარების საშუალება. ამიტომ იყო, რომ მთელი თამაში მიმდინარეობდა არა ისე, როგორც “შახტიორს” სწაღდა, არამედ ისე, როგორც დინამოელებს სურდათ. მათი ეს დომინანტა იმ დაუძლეველ ძალად იქცა, რომლის წინააღმდეგაც დონეცკელმა ფეხბურთელებმა ვერაფერი გააწყვეს.

იყო მომენტები, როცა მასპინძლები ყოველ ღონეს ხმარობდნენ მდგომარეობის შესაგვცვლელად, იყო ძლიერი კონტრშეტევებიც (შუა ტაიმში მათ ზედიზედ ოთხი კუთხური მიაწოდეს), მაგრამ აქ ბრძოლაში აქტიურად, გადაჭრით ებმოდნენ მცველები, რომლებმაც პრაქტიკულად უშეცდომოდ ჩაატარეს მატჩი, ხოლო, როცა საქმე მეკარემდე მიდიოდა, გოგია აბსოლუტური სიზუსტით თამაშობდა. მან ორი ისეთი ბურთი აიღო, რომლებიც ურთულეს კატეგორიას მიეკუთვნება.

იშვიათად, რომ თბილისის “დინამოს” ეთამაშოს ასე კოლექტიურად, შეწყობილად, მეგობრულად. საერთო სამოქმედო სქემას, ანსამბლს წუთითაც არავინ ასცდენია, მაღალი საშემსრულებლო ტექნიკა ემსახურებოდა მხოლოდ და მხოლოდ კომბინაციურ ტაქტიკურ ამოცანებს, ბურთის გათამაშებისას სისტემატურად იხსნებოდა რომელიმე ფეხბურთელი, რომელიც დიდ დახმარებას უწევდა ბურთიან პარტნიორს.

ისეთი შთაბეჭდილება დარჩა, რომ დონეცკელებმა იგრძნეს მეტოქის ეს მობილიზება, საკუთარი ძალების რწმენა და თითქოს დაემორჩილნენ მის ნება-სურვილს. 90-წუთიანი ბრძოლის მანძილზე, მხოლოდ მცირეოდენი გამონაკლისით, არ ყოფილა რამდენადმე

მნიშვნელოვანი პერიოდი, რაც საეჭვოდ გახდიდა თბილისელთა დიდ უპირატესობას. თამაში "დინამოსი" იყო.

სტუმრების საერთო წარმატებას დიდად შეუწყო ხელი დასაწყისში მიღწეულმა შედეგმა: მე-13 წუთზე კანთელაძემ საჭარიმო მოედანზე დაჰკიდა ბურთი, აქ ყიფიანთან ბრძოლაში შეცდომა დაუშვა გორბუნოვმა, თბილისელმა მოატყუა დასახმარებლად მისული იარემჩენკო და აუჩქარებლად დაარტყა იქ, სადაც დეგტიაროვი ვერ მისწვდებოდა ბურთს – 1:1.,

ანგარიში 1:0 ფეხბურთში ვერ ქმნის გამარჯვების საბოლოო გარანტიას, ისიც მე-13 წუთზე, მაგრამ, ვიმეორებთ, თამაშის მსვლელობაში სათუო არაფერი იყო: უპირატესობას "დინამო" ფლობდა, ხოლო როცა შესვენების შემდეგ, 73-ე წუთზე, გუსაევი დრიბლინგით გავიდა "შახტიორის" სამ მცველს შორის და მეორე ბურთი დაარტყა მოწინააღმდეგის კარში, ეჭვის შეტანა აღარ შეიძლებოდა: ფინალში თბილისის "დინამო" გავიდოდა.

გამარჯვება თავისთავად სასიხარულო ამბავია, მაგრამ როცა იგი მოპოვებულია ასეთ მაღალ სპორტულ დონეზე, ასე დამაჯერებლად, ასეთი უპირატესობით, ეს უკვე მომავლის დიდ იმედს გვისახავს.

**„ლელო“, 1 სექტემბერი, 1976 წ.**